საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-02/234

ქ. ბათუმი 07 ოქტომბერი, 2022 წ.

ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის" (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების მიერ კლინიკური პრაქტიკის/როტაციის/კურაციის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატის ფორმის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე, 47[3]-ე მუხლის მე-2-3 პუნქტების, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის", ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის 2022 წლის 20 სექტემბრის N1123095 სამსახურებრივი ბარათისა და ,,ბსუ-ს პერსონალის გერმანიაში მასპინძლობის საერთაშორისო ინსტიტუტთან (Internationales Institut für Hospitality (IIFH))გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში მივლინების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 21 სექტემბრის N01-14/400 ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის" (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების მიერ ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში კლინიკური კომპონენტის (პრაქტიკის/როტაციის/კურაციის) გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატის ფორმა, წინამდებარე ბრძანების **N1 დანართის** შესაბამისად.
2. თარჯიმანმა (ნ. მაზმიშვილი) უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული ფორმის ინგლისურენოვანი ვერსიის წარმოდგენა.
3. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტმა უზრუნველყოს ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის" სტუდენტებზე/კურსდამთავრებულებზე წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული ფორმის მიხედვით 2-ენოვანი (ქართული/ინგლისური) სერტიფიკატების გაცემა.
4. ბრძანება აღსასრულებლად და გასაცნობად დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურსა და იურიდიულ დეპარტამენტს.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. N30).

რექტორის მოადგილე,
რექტორის მ/შ, პროფესორი ა. ბერიძე

,,ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის“ (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების მიერ კლინიკური პრაქტიკის/როტაციის/კურაციის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატის ფორმის დამტკიცების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 07 ოქტომბრის № 01-02/234 ბრძანების
დანართი N1

კლინიკური კომპონენტის გავლის სერტიფიკატი

ადასტურებს რომ, ---------- (პ/ნ ----------) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში - ,,ბსუ“) საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიან ინგლისურენოვან პროგრამაზე სწავლის პერიოდში (20--დან 20----- მდე სასწავლო წლები) ბსუ-ს კონტრაქტორ/აფილირებულ სამედიცინო დაწესებულებებში (კლინიკებში) წარმატებით გაიარა/დაასრულა პროგრამით გათვალისწინებული შემდეგი პრაქტიკული კომპონენტები (პრაქტიკა/როტაცია/კურაცია):

N	ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის“ პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსი (დისციპლინა)	ECTS კრედიტი	კრედიტის ხანგრძლივობა საათებში
	კლინიკური პრაქტიკა		
1	პედიატრია	8	105
2	ქირურგია	8	120
3	მეანობა და გინეკოლოგია	6	90
4	შინაგანი მედიცინა	8	120
5	ემერჯენსი	8	120
	კლინიკური როტაცია/კურაცია		
6	შინაგანი მედიცინა	10	100
7	ზოგადი ქირურგია	4	60
8	მეანობა	5	50
9	პედიატრია	8	120
10	კრიტიკული მდგომარეობები და გადაუდებელი ტოქსიკოლოგია	8	120
11	ტრანსპლანტოლოგია	5	50
12	ოტორინოლარინგოლოგია	5	50
13	ნევროლოგიური დაავადებები	6	60
14	ოფთალმოლოგია	5	50
15	ნეფროლოგია, უროლოგია, ანდროლოგია და სექსუალური დარღვევები	6	60